სიცოცხლის მოსპობით და ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის შეფასების კრიტერიუმები

გიორგი მენაბდიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს სამართალი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.[1]

გიორგი მენაბდიშვილი
04/07/2023 წელი

[1] ს.ჯანაშია და სხვები,თამარ,რედ.,,*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი:სახელმძღვანელო წიგნის,სტატიის,დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის"* (თბილისი:2011 წელი),56. https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ilias-sakhelmtsipho-universitetis-akademiuri-stilis-sakhelmdzghvanelo.pdf?fbclid=IwAR2Wp9nEON052iGQ8LydJfK2vEGXH9COaoxIDzkVD5K7-WJFILjkogXrPf4 (04.07.2023)

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ბატონ ამირან მეშველიშვილს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და მაძლევდა შესაბამის უკუკავშირს.

აბსტრაქტი

სამართალში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, რაც განპირობებულია საქართველოში აღნიშნული საკითხის პრობლემურობით და აქტუალურობით. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ემსახურება პიროვნების შინაგანაი სამყაროს დაცვას მისთვის ისეთი ტანჯვის მიყენებისაგან, რომელსაც ვიზუალური გამოხატულება არ გააჩნია. სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფის ან სიცოცხლის მოსპობის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება. არამატერიალური ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობა უზრუნველყოფს პიროვნების ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვას მისი ხელყოფის შემთხვევაში, რაც სახელმწიფოში სტაბილური გარემოს გარანტია.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება უპირველეს ყოვლისა ემსახურება დაზარალებულის ან მისი ახლობლების ფსიქოლოგიური ტანჯვის შემსუბუქებას. მიუხედავად იმისა, რომ არამატერიალური ზიანის რესტიტუცია შეუძლებელი არის დაზარალებულმა უნდა მიიღოს ზიანის პროპორციული კომპენსაცია. ქართულ კანონმდებლობაში ზიანის ტოლფასი კომპენსაცია გულისხმობს გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას. დაზარალებულისთვის მიყენებული ფსიქოლოგიური ტანჯვის შემსუბუქებისთვის და მისი უფლებების რეალიზაციისთვის აუცილებელი არის შეფასდეს ზიანი და დადგინდეს ზიანის პროპორციული ფულადი ოდენობა.

ნაშრომში საუბარი არის სიცოცხლის მოსპობით ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრის პრობლემურობაზე, მის წინაპირობებზე და შეფასების კრიტერიუმებზე.

კვლევა წარმართული არის სასამარლო პრაქტიკის, ნორმატიული მასალის განხილვის და შედარებით სამართლებრივი ანალიზის მეთოდოლოგიის

გამოყენებით. ნორმატიული მასალის ანალიზიდან გამომდინარე თავს იჩენს ხარვეზები, რაც შემდგომ განაპირობებს არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ნაშრომში სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებიდან და ნორმატიული მასალიდან გამომდინარე შემუშავებული არის რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არაქონებრივი ზიანი, არამატერიალური ზიანი, კომპენსაცია.

Abstract

In law, an important place is given to compensation for moral damages, which is due to the problematic and actuality of the mentioned issue in Georgia. The demand for compensation for moral damages serves to protect the spiritual world of a person from inflicting such suffering on him that does not have a visual expression. It is a sensitive issue when the issue of compensation for moral damages as a result of harm to human health or loss of life arises. The possibility of claiming moral damages ensures the protection of basic rights and freedoms of a person in case of violation, which guarantees a stable environment in the state.

Compensation for moral damages primarily serves to alleviate the spiritual suffering of the victim or his relatives. Although restitution for moral damages is impossible, the victim must receive proportional compensation for the damages. In Georgian legislation, compensatory damages mean reasonable and fair compensation. In order to alleviate the spiritual and mental suffering caused to the victim and to realize his rights, it is necessary to assess the damage and determine the proportional monetary amount of the damage.

The paper talks about the problematic nature of determining the amount of damage caused by extermination of life or harming health, its prerequisites and evaluation criteria.

The research is conducted using the methodology of judicial practice, review of normative material and comparative legal analysis. Based on the analysis of the normative material, gaps appear, which further leads to the formation of non-uniform judicial practice. Recommendations are developed based on the examples of different countries and normative material in the paper.

Key search words: moral damage, non-material damage, compensation.